

თბილისი

№ 730/03

7 ნოემბერი 2014წ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების” მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 4 ნოემბრის №1231 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს ინდოეთის რესპუბლიკის შემდეგი მოქალაქეები:

1. კავირაჯ სემპოტამპალაიამ მურტი;
2. სანდჰიია სანტა კუმარ.

II. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ქართულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს საქართველოს შემდეგი მოქალაქე:

1. ირაკლი გოგუა

III. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს თურქეთის რესპუბლიკის შემდეგი მოქალაქე:

1. ოზბაი ჩეთინკაია

IV. ამ ბრძანების პირველი, მეორე და მესამე პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2014 წლის 30 ნოემბრამდე.

V. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხულ სტუდენტთა სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ.ჩიქოვანს, უცხოელ

სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ.თოფურიას და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანს ლ.მასხულიას.

VI. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

VI. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ.თოფურიას, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ.ჩიქოვანს, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანს ლ.მასხულიას, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს ი. ავალიანს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტაღახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

VII. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი

ვიზა:

ვიცე-რექტორი

რ.ბერიაშვილი

იურიდიული სამსახურის უფროსი

მ. დუნდუა

მედიცინის ფაკულტეტის დეკანი

თ.ჩიქოვანი

საერთაშორისო ურთიერთობათა

დეპარტამენტის უფროსი

ი. ავალიანი

მომამზადა: ნ.ჯაფარიძემ

